

შპს ავენიუ-მოტორს ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 27.07.2022-31.12.2022 პერიოდისთვის	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 27.07.2022-31.12.2022 პერიოდისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები	8
5. გადახდილი ავანსები	8
6. მარაგები	9
7. გამოუმუშავებელი შემოსავალი	9
8. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9
9. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	9
10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	10

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2022
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	4	911,174
გადახდილი ავანსები	5	3,930,815
მარაგები	6	1,444,006
სულ აქტივები		6,285,995
ვალდებულებები და კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები		12,479
გამოუმუშავებელი შემოსავალი	7	6,077,461
საგადასახადო ვალდებულებები		194
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,090,134
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები		157,530
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		157,530
სულ ვალდებულებები		6,247,664
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება		38,331
სულ საკუთარი კაპიტალი		38,331
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,285,995

დირექტორი



დავით შიშმანაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2022
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	4	911,174
გადახდილი ავანსები	5	3,930,815
მარაგები	6	1,444,006
სულ აქტივები		6,285,995
 ვალდებულებები და კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები		12,479
გამოუმუშავებელი შემოსავალი	7	6,077,461
საგადასახადო ვალდებულებები		194
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,090,134
 გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები		157,530
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		157,530
 სულ ვალდებულებები		6,247,664
 საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება		38,331
სულ საკუთარი კაპიტალი		38,331
 სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,285,995

დირექტორი -----

დავით შიშმანაშვილი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 27.07.2022-31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	27-07-2022- 31-12-2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	3,928,270
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8	(3,863,056)
საერთო მოგება		65,214
ხელფასები და სხვა სარგებელი		(32,096)
იჯარის ხარჯი		(30,726)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(64,213)
ზარალი პროცენტამდე და საკურსო სხვაობამდე		(61,821)
საპროცენტო ხარჯი		(8,153)
მოგება საკურსო სხვაობიდან		108,305
მოგება დაბეგვრამდე		38,331
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		38,331

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 27.07.2022-31.12.2022 პერიოდისთვის

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 27 ივლისი	-	-
წმინდა მოგება	38,331	38,331
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	38,331	38,331

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ავენიუ-მოტორს დაფუძნდა 2022 წლის 27 ივლისს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაკის რაიონი, პაატა დათუაშვილის ქუჩა, N23, საცხოვრებელი ფართი N76. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405550871. კომპანიის 100%-ის მფლობელია დავით შიშმანაშვილი 20001017787.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტომობილების ნაწილებითა და აქსესუარებით საბითუმო ვაჭრობა. კომპანიას მართავს დირექტორი - დავით შიშმანაშვილი 20001017787.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

3.2 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

კომპანიას არ გააჩნია წარმოება. იგი ახდენს მზა პროდუქციის შემენასა და შემდგომ არსებულ მდგომარეობაში გადაყიდვას. შესაბამისად კომპანიის მარაგები შედგება მზა საქონელისგან.

3.3 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების

დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.4 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის

ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს მივლინების, საკონსულტაციო, საბანკო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე, როგორც ლარში ასევე უცხოურ ვალუტაში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2022
ლარში განთავსებული	2,816
უცხოურ ვალუტაში განთავსებული	908,358
სულ	911,174

5. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები შედგება ავტომობილების ნაწილებისა და აქსესუარების შესყიდვის მიზნით მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსისგან. აღნიშნული ავანსის აქტივად აღიარება მოხდება შესაბამისი აქტივის მიღების შემდგომ. 2022 წლის ბოლოს კომპანიას ჰქონდა გადახდილი ავანსი ერთ მომწოდებელზე.

6. მარაგები

გამომდინარე იქიდან რომ კომპანიას არ გააჩნია წარმოება და ახდენს შეძენილი საქონლის არსებულ მდგომარეობაში გადაყიდვას, მარაგები შედგება მზა საქონლისგან, კერძოდ, ავტომობილების ნაწილებისა და აქსესუარებისგან.

7. გამოუმუშავებელი შემოსავალი

გამოუმუშავებელი შემოსავალი შედგება საქონლის რეალიზაციისას კლიენტი კომპანიების მიერ გადახდილი ავანსებისგან. ჯამში საწარმოს ჰქონდა მიღებული ავანსი 2 კლიენტი კომპანიისგან 2022 წლის ბოლოს.

8. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავლის წყარო არის ექსპორტის შედეგად პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი. 27.07.2022-31.12.2022 პერიოდში კომპანია გაყიდვებს ახორციელებდა ორ არარეზიდენტ იურიდიულ პირზე.

კომპანია პროდუქციას ყიდულობს ადგილობრივი მომწოდებლისგან. აღნიშნული პროდუქციის თვითღირებულების ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის შესაბამის პერიოდში, შესატყვისობის პრინციპის თანახმად. 27.07.2022-31.12.2022 პერიოდში კომპანია შესყიდვებს ახორციელებდა მხოლოდ ერთი ადგილობრივი იურიდიული პირისგან.

9. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

27.07.2022-31.12.2022 პერიოდში კომპანიას არ ჰქონია ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, მათ შორის არ მომხდარა კომპენსაციის გაცემა მენეჯმენტზე.

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2023 წელს ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, კომპანიამ აიღო რამდენიმე სესხი:

- ფიზიკური პირისგან - 110,000 ევროსა და 350,000 აშშ დოლარის სესხები 1 წლის ვადით;
- იურიდიული პირისგან - 240,000 ლარის სესხი 1 წლის ვადით.